საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არმადა“-ს დირექტორის

ბ-ნი პაატა ხარაზიშვილის

ელ.ფოსტა. trapa580@yahoo.com; მობ: 551 68-00-85

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არმადა“-ს (ს/კ 404892915), ქ. თბილისში, **სამგორის რაიონი, როსტომ აბრამიშვილის ქ. #25,** მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **01.19.14.004.071**, რომელიც წარმოადგენს შპს „ბერალი“-ს საკუთრებას და მისი საკუთრებაში არსებული შენობის 360 m^2 ს ფართი იჯარით აქვს აღებული. აღნიშნულ შენობებში გააჩნია პოლიეთილენის ფირებისა წარმოების საამქრო, რომელიც მუშაობს შემოტანილი პოლიეთილენის პირველად გრანულებზე. საწარმოს სიმძლავრეა 312 ტონა წელიწადში, ანუ 150 კგ/სთ-ში 8 საათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 260 სამუშაო დღით. აღნიშნული პროდუქციის წარმოებისას წარმოიქმნება წუნდებული პროდუქცია, რომლის მაქსიმალური რაოდენობა წელიწადში შეადგენს 7.8 ტონამდე და ის საწარმოში ხელახლა გადამუშავდება ცელოფნის დამაქუცმაცებელი წისქვილისა და გრანულატორების მეშვეობით, საიდანაც ისევ მიიღება პოლიეთილენის გრანულები.

საწარმოს სიმძლავრეა 150 კგ/სთ-ში ანუ 312 ტონა წელიწადში პოლიეთილენის ფირების წარმოება, 8 საათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 260 სამუშაო დღეებით.

საწარმოში დაიგეგმა დამატებით პოლიმერული ნარჩენების ბაზაზე (კოდებით: 07 02 13; 15 01 02; 16 01 19; 17 02 03; 20 01 39) პოლიეთილენის ფირების წარმოება. პოლიეთილენის ნარჩენების შემოტანა საწარმოში მოხდება საქართველოში სხვადასხვა საწარმოებებში წამოქმნილი პოლიეთილენის შესაფუთი და სხვა სახის ნარჩენების სახით, ასევე შესაძლებელია აღნიშნული ნარჩენების შემოტანა განხორციელდეს სხვა ქვეყნებიდან სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო კოდით: 3915. საწარმოში შემოტანილი ნარჩენები ისეთი სახით იქნება მიღებული, რომლებსაც გადამუშავებისას გარეცხვა არ ესაჭიროება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არმადა“-ს პოლიეთილენის ნარჩენებისაგან და პირველადი გრანულებისაგან პოლიეთილენის ფირებისა წარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც ამავე კოდექსისი მე-2 დანართის 10.3 პუნქტის თანახმად (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ [illegible] გადაწყვეტილებას.

№ 4125
09. 03. 2020 წ.

პატივისცემით პაატა ხარაზიშვილი

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;